ხელშეკრულება
(დეპოზიტი ყულაბის შესახებ)

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია ისარგებლოს დეპოზიტით „ყულაბა“ (შემდომში „დეპოზიტი“ ან “ყულაბა”), რაც გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის სადეპოზიო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას, ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) ბანკის მიერ დადგენილი პირობებით.

1.2. დეპოზიტის გასახსნელად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (შემდგომში “განაცხადი”) და აირჩიოს დეპოზიტზე მისაბმელი თანხის დაგროვების სქემა. დასაშვებია, კლიენტის მიერ განაცხადის წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განაცხადის წარდგენას უთანაბრდება კლიენტის მიერ ბანკის შეთავაზებაზე დათანხმება, ამასთან, დასაშვებია შეთავაზებაზე დათანხმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

1.3. ყულაბით მომსახურების მისაღებად კლიენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიმდინარე ანგარიში სს „ბაზისბანკში“. თუ კლიენტს არ აქვს მიმდინარე ანგარიში, განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ და სადეპოზიტო ანგარიშის გახსნასთან ერთად კლიენტს გაეხსნება მიმდინარე ანგარიში.

მუხლი 2. დეპოზიტის მოქმედების ვადა და პირობები

2.1.1. დეპოზიტი იხსნება 3 (სამი) თვით, რომლის ათვლა იწყება სადეპოზიტო ანგარიშზე ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) დადგენილი მინიმალური შენატანის განთავსების მომდევნო დღიდან.

2.1.2. დეპოზიტის მინიმალური შენატანი: 10 (ერთეული) დეპოზიტის ვალუტაში.

2.1.3. თუ დეპოზიტის ვადის ამოწურვამდე, კლიენტი არ დააფიქსირებს დეპოზიტზე რიცხული თანხის დეპოზიტის ვადის ამოწურვისთანავე გატანის/გადარიცხვის მოთხოვნას, მაშინ დეპოზიტის მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება 3 (სამი) თვით, დეპოზიტის ვადის ავტომატური გაგრძელების თარიღისათვის ბანკში ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) დადგენილი პირობებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დეპოზიტის მოქმედების ავტომატურ გაგრძელებას გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობა.

2.1.4. დეპოზიტის ვადის ავტომატური გაგრძელების თარიღად მიიჩნევა დეპოზიტის ვადის ამოწურვის დღე.

2.1.5. “2.1.3.” პუნქტით დადგენილი წესით დეპოზიტის მოქმედება ვადის გაგრძელება ხორციელდება 3 (სამ) თვიანი ვადის ამოწურვის ყოველ ჯერზე.

2.1.6. სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხა და დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან ყულაბის გატეხვის (დეპოზიტის ვადამდე მოშლის) შემთხვევაში, გადაირიცხება განაცხადში დაფიქსირებულ მიმდინარე ანგარიშზე.

2.1.7. დეპოზიტს სარგებლის წლიური განაკვეთი განისაზღვრება მოცემულ მომენტში ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით.

2.1.8. დეპოზიტზე სარგებლის დარიცხვა იწყება სადეპოზიტო ანგარიშზე ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) დადგენილი მინიმალური შენატანის განთავსების მომდევნო დღიდან, დეპოზიტის ვადის ამოწურვის ან ყულაბის გატეხვის დღემდე, წელიწადში 365 (სამასსამოცდახუთი) დღეზე გადაანგარიშებით.

2.1.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ყულაბას გატეხავს (დეპოზიტის ვადამდე მოშლის) დეპოზიტის მოქმედების 3 (სამ) თვიანი ვადის ამოწურვამდე, კლიენტს დაერიცხება პირგასამტეხლო მოცემული 3 (სამ) თვიანი პერიოდისათვის დეპოზიტზე დარიცხული სარგებელის ოდენობით.

2.1.10. დეპოზიტზე 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს/აშშ დოლარს/ევროს ზემოთ არსებულ თანხას სარგებელი არ დაერიცხება.

2.1.11. ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად შეცვალოს ამ სახის დეპოზიტზე (დეპოზიტი “ყულაბა”) დასარიცხი სარგებელის საპროცენტო განაკვეთი. ბანკი ცვლილების შესახებ კლიენტის ინფორმირებას ახდენს ბანკის სერვისცენტრებსა და/ან ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) ინფორმაციის განთავსების გზით. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი კლიენტისათვის ამოქმედდება დეპოზიტის მოქმედების 3 (სამ) თვიანი ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან.

2.1.12. სადეპოზიტო ანგარიშზე/ანგარიშიდან თანხის ჩარიცხვა, შეტანა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით.

2.1.13. თუ დეპოზიტი გამოყენებულია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, კლიენტის მიერ, ვადამდე მოშლა და სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხის გატანა/გადარიცხვა დაუშვებელია, თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

2.1.14. დეპოზიტის ვალუტა დეპოზიტზე პირველადი შენატანის სახით განსათავსებელი თანხის მოცულობა და დეპოზიტზე მიბმული თანხის დაგროვების სქემა განისაზღვრება კლიენტის განაცხადით.

2.1.15. კლიენტი უფლებამოსილია დეპოზიტი მოშალოს მასზე მიბმული დაგროვების სქემის გაუქმების გარეშე, ასეთ შემთხვევაში, სადეპოზიტო ანგარიშზე ამ სახის დეპოზიტისათვის (დეპოზიტი “ყულაბა”) დადგენილი მინიმალური შენატანის განთავსების მომდევნო დღიდან იწყება დეოზიტის ახალი 3 (სამ) თვიანი ვადის ათვლა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. კლიენტს უფლება აქვს:

3.1.1. მიიღოს დეპოზიტზე რიცხული თანხა და შესაბამისი სარგებელი ამ ხელშეკრულებით და ბანკის მიერ ამ სახის პროდუქტისათვის განსაზღვრული წესითა და პირობებით.

3.1.2. საკომისიო გადასახადის გარეშე მიიღოს ინფორმაცია მის სადეპოზიტო ანგარიშზე ოპერაციების წარმოების შესახებ.

3.1.3. წარადგინოს პრეტენზია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის მიღების და განხილვის პროცედურა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მისი მიღება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.

3.2. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით ან არა დანიშნულებისამებრ (მაგალითად ბანკის რომელიმე მომსახურებისათვის/პროდუქტისათვის დადგენილი საკომისიოს გადახდისაგან თავის არიდება/გვერდის ავლა).

3.3. ბანკი ვალდებულია:

3.3.1. მიიღოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, როგორც დეპოზიტი და დაარიცხოს მას სარგებელი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

3.3.2. კლიენტს გადასცეს დეპოზიტზე რიცხული თანხა და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სარგებელი დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან დეპოზიტის ვადამდე დახურვის შემთხვევაში, იმავე ვალუტაში.

3.3.3. დაიცვას საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არ გასცეს ასეთი ინფორმაცია მესამე პირზე კლიენტის თანხმობის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

3.4. ბანკს უფლება აქვს:

3.4.1. განკარგოს დეპოზიტის ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

3.4.2. კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შეუწყვიტოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და დაარიცხოს პირგასამტეხლოს დეპოზიტზე დარიცხული სარგებელის ოდენობით, თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ კლიენტი არღვევს „3.2.“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას;

3.4.3. უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

მუხლი 4. განსაკუთრებული დებულებები

4.1. ბანკს უფლება აქვს კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ დეპოზიტის უზრუნველყოფით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გამოუყოს კლიენტის ან მესამე პირს ბანკში არსებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტი.

4.2. იმ მომენტიდან, როდესაც დეპოზიტი გახდება “4.1.“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალება (მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება), ბანკს ეძლევა დეპოზიტის და მასზე დარიცხული სარგებლის ხარჯზე თავისი მოთხოვნ(ებ)ის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით.

4.3. ამ ხელშეკრულებით კლიენტი ბანკს ანიჭებს, ბანკის წინაშე მისი ვალდებულების დასაფარად, ან შესამცირებლად მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, დავალიანების თანხის ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან ჩამოწერის უპირობო უფლებამოსილებას. თუ დავალიანება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკში დადგენილი კურსით. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება კლიენტის მიერ ვადამდე შეწყვეტილად.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის კლიენტის მიერ მასზე მიერთების დადასტურების (დასაშვებია ხელშეკრულებაზე მიერთების დადასტურება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებ(ებ)ის გამოყენებით) მომენტიდან და იმოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე http://www.basisbank.ge/agreements/, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა დაბეჭდილი და ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება.

5.3 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

5.4. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტა, ბანკის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი – www.basisbank.ge და ა.შ.) ციფრული, სატელეფონო და სხვა).

5.5. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.7. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) ამ ხელშეკრულებაში, ცვლილებების ძალაში შესვლამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე, ბანკის სერვისცენტრებსა და/ან ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) ინფორმაციის განთავსების გზით. კლიენტს უფლება ექნება ბანკის სერვისცენტრებსა და/ან ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ბანკისათვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის გზით.

5.8. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების “5.7.” პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხოლო ხელშეკრულება შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

5.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკს არ ევალება კლიენტის ინფორმირება ხელშეკრულების ისეთ ცვლილებაზე (დამატებაზე), რომელიც არ აუარესებს მის მდგომარეობას და ძალაში შეიყვანოს ბანკი ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე მისი განთავსებისთანავე.

5.10. განაცხადი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

5.11 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.